პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 27 მარტი, 1945 წ. № 61 (7276). ფასი 20 კაპ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა ვერტეშხედშეგის მთებში ბუდაპეშტის დასავლეთით, გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ჯგუფი ესტერგომის რაიონში და წინ წაიწიეს 45 კილომეტრით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ესტერგომი, ნესმეი, ფელშე-გალა, ტატა, აგრეთვე 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ამ ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 7.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს და ხელთ იგდეს 250 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 300-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პეტრუშევსკის, გენერალ-მაიორ ბირმანის, გენერალ-მაიორ შკოდუნოვიჩის, გენერალ-მაიორ სოსედოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბახტინის, გენერალ-მაიორ გრიგოროვიჩის, გენერალ-ლეიტენანტ რუბანიუკის, პოლკოვნიკ საგიტოვის, პოლკოვნიკ დერზიანის, გენერალ-მაიორ მილიაევის, გენერალ-მაიორ კარამიშევის, გენერალ-მაიორ გორბაჩოვის, გენერალ-მაიორ მარგელოვის, გენერალ-მაიორ სოკოლოვსკის, პოლკოვნიკ სალიჩევის, პოლკოვნიკ გუშჩინის, პოლკოვნიკ კოვტუნ-სტანკევიჩის, პოლკოვნიკ ბალდინოვის, პოლკოვნიკ ანდრიუკოვის, პოლკოვნიკ სმირნოვის, მაიორ ბისტროვის ჯარებმა; დუნაის სამხედრო ფლოტილიის კონტრ-ადმირალ ხოლოსტიაკოვის, პირველი რანგის კაპიტან სვერდლოვის, მეორე რანგის კაპიტან დერჟავინის, მეორე რანგის კაპიტან არჟავკინის, მაიორ პასმუროვის ხომალდებმა და ნაწილებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ შმაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ალექსეენკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ პავლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ივანოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ პეტროვის, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოლკოვნიკ პავლოვის, პოლკოვნიკ ადაშევის, პოლკოვნიკ მოტოვის, პოლკოვნიკ სალანსკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის, გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვის, პოლკოვნიკ რუმიანცევის, პოლკოვნიკ ლიაშჩენკოს, პოლკოვნიკ ტროცენკოს, პოლკოვნიკ კირილოვის, პოლკოვნიკ ოგნევის, პოდპოლკოვნიკ კორსეევის, პოდპოლკოვნიკ როგაჩევის, პოდპოლკოვნიკ გორდეევის, პოდპოლკოვნიკ რიჟანოვის, მაიორ ლოგინოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სელეზნევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სტეპიჩევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოდგორნის, ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, პოლკოვნიკ ჩანპალოვის, პოლკოვნიკ რუბეს, პოლკოვნიკ სემენენკოს, პოლკოვნიკ საპრიკინის, პოლკოვნიკ კლობუკოვის, პოლკოვნიკ შუტეევის, პოლკოვნიკ ჩიჟიკოვის, პოლკოვნიკ ტარანენკოს, პოლკოვნიკ იუდაკოვის, პოდპოლკოვნიკ ერემინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ცირლინის, პოლკოვნიკ ვეტროვის, პოლკოვნიკ კოვალენკოს, პოლკოვნიკ მიასნიკოვის, პოლკოვნიკ კალინიჩენკოს, პოდპოლკოვნიკ ზიმენკოს მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ლეონოვის, პოლკოვნიკ ეგოროვის, პოლკოვნიკ დავიდოვის, მაიორ ვოლჩკოვის, მაიორ პოპოვის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ესტერგომის, ნესმეის, ფელშე-გალას და ტატას დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ქალაქების ესტერგომის, ნესმეის, ფელშე-გალას და ტატას დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 25 მარტი. № 308.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში უტევენ კარპატის მთების ზოლში, ჩეხოსლოვაკიაში დაიკავეს ქალაქი ბანსკა ბისტრიცა — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ბანსკა ბისტრიცის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შმაჩენკოს, რუმინეთის არმიის კორპუსის გენერალ დესკელესკუს, გენერალ-მაიორ რუმიანცევის, გენერალ-მაიორ უმანსკის, პოლკოვნიკ პიგინის, პოლკოვნიკ პევზნერის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის, პოლკოვნიკ ცალაის, პოლკოვნიკ კარნაჩევის, მაიორ ალექსანდროვის, მაიორ კოზლიაკოვსკის, მაიორ ტოკარევის, მაიორ ოვეჩკინის, კაპიტან დოლჟენკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ კორეცკის, პოლკოვნიკ ნოვგოროდსკის, პოდპოლკოვნიკ სმირნოვის, პოდპოლკოვნიკ ლიტვინენკოს, პოდპოლკოვნიკ ვასილევსკის, პოდპოლკოვნიკ გუბენკოს, პოდპოლკოვნიკ იარგინის, მაიორ გლუშჩენკოს, მაიორ შჩერბინის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ ტოკარევის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, პოლკოვნიკ საპრიკინის, პოლკოვნიკ სემიონოვის, პოლკოვნიკ სემენკოს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ პეტროვის, პოლკოვნიკ ბუდარინის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ გორელკინის, პოდპოლკოვნიკ ლიაპინის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბანსკა ბისტრიცის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის რუმინეთის არმიის კორპუსის გენერალ დესკელესკუს ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბანსკა ბისტრიცა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბანსკა ბისტრიცის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 მარტი. № 310.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ პოკროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 25 მარტს, დაიკავეს ქალაქი ჰაილიგენბაილი—გერმანელთა თავდაცვის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით, ამასთან ტყვედ წამოყვანილია 7.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ ჰაილიგენბაილის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გორბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ შაფრანოვის, გენერალ-ლეიტენანტ ლუჩინსკის, გენერალ-მაიორ შჩედრინის, გენერალ-მაიორ როგაჩევსკის, გენერალ-ლეიტენანტ ივაშეჩკინის, გენერალ-მაიორ კნიაზკოვის, გენერალ-მაიორ კლეშნინის, გენერალ-მაიორ ბატიცკის, გენერალ-ლეიტენანტ ივანოვის, გენერალ-ლეიტენანტ ურბანოვიჩის, გენერალ-მაიორ ნიკიტინის, გენერალ-მაიორ ბერესტოვის, გენერალ-მაიორ სამოხვალოვის, გენერალ-მაიორ მიხალიცინის, გენერალ-მაიორ ხვოსტოვის, გენერალ-მაიორ მალიუკოვის, პოლკოვნიკ ლევინის, პოლკოვნიკ ბულანოვის, პოლკოვნიკ დემინის, პოლკოვნიკ ხაუსტოვიჩის, პოლკოვნიკ შაცკოვის, პოლკოვნიკ რიბალკოს, პოლკოვნიკ პოპოვის, პოლკოვნიკ ვიაზნიკოვცევის, პოლკოვნიკ ბრეკოვის, პოლკოვნიკ აბილოვის, პოლკოვნიკ ტელკოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ სემინის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროპავლოვსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ვლადიმიროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კარსანოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოლოტილოვის, პოლკოვნიკ ფედოტოვის, პოდპოლკოვნიკ დმიტრუკის, პოდპოლკოვნიკ ვიგოროვის, პოდპოლკოვნიკ მოისეენკოს, პოდპოლკოვნიკ ვლასენკოს, მაიორ შილოვის, პოლკოვნიკ იუსკოვიჩის, პოდპოლკოვნიკ აფანასიევის, პოდპოლკოვნიკ პოპოვის, პოლკოვნიკ აირაპეტოვის, პოდპოლკოვნიკ კოროლიოვის, მაიორ ჩებოტარიოვის, პოლკოვნიკ პოპოვის, პოლკოვნიკ სტარინინის, პოლკოვნიკ ზელიონოვის, პოდპოლკოვნიკ ბაბიჩის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ ლუკაშევის, პოლკოვნიკ ოპარინის, პოლკოვნიკ ბელიკის, პოლკოვნიკ ლობანოვის, პოდპოლკოვნიკ ხუხრინის, მაიორ კოტლიაროვის, პოლკოვნიკ კულიკოვის, პოდპოლკოვნიკ კრაპივას, პოდპოლკოვნიკ ზირკას, პოდპოლკოვნიკ პროხორენკოს, პოლკოვნიკ ოსიპოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ პაპივინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბელოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ დაგაევის, პოლკოვნიკ სკოკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ივანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს, პოლკოვნიკ ხატმინსკის, პოდპოლკოვნიკ ზაკლევას, პოლკოვნიკ პრუტკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის, პოლკოვნიკ ჩუჩევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ნეჩიპორენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ზახაროვის, პოლკოვნიკ ზიმინის, პოდპოლკოვნიკ საჟნევის, პოლკოვნიკ შინკარენკოს, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლკოვნიკ კუჩმას, ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ ლებედევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჟილინის, პოლკოვნიკ ბოგდანოვის, პოლკოვნიკ ვორონცოვის, პოლკოვნიკ სევასტიანოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ მიშინის, პოლკოვნიკ ბელიშევის, პოლკოვნიკ პლოტკინის, პოდპოლკოვნიკ მარკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ჰაილიგენბაილის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 მარტს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ჰაილიგენბაილი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჰაილიგენბაილის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 25 მარტი. № 309

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ივანოვს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 26 მარტს დაიკავეს ქალაქები პაპა და დევეჩერი — გზების დიდი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც იფარავენ ავსტრიის საზღვრებისაკენ მიმავალ გზებს.

ქალაქების პაპისა და დევეჩერის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გლაგოლევის, გენერალ-ლეიტენანტ მირონოვის, გენერალ-ლეიტენანტ ტიხონოვის, გენერალ-მაიორ როჟდესტვენსკის, გენერალ-მაიორ სერიოგინის, გენერალ-მაიორ დენისენკოს, გენერალ-მაიორ ივანოვის, გენერალ-მაიორ ბოგდანოვის, პოლკოვნიკ ლარინის, პოლკოვნიკ სტეპანოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნედელინის, არტილერიის გენერალ-მაიორ კარლინის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბრეჟნევის, არტილერიის გენერალ-მაიორ გუსევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ველიკოლეპოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ დანშინის, პოდპოლკოვნიკ ჟივუცკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პაველკინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შტრომბერგის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ საველიევის, პოლკოვნიკ მიხნოს, პოლკოვნიკ სელეზნიოვის, პოლკოვნიკ ვორონოვის, პოლკოვნიკ ჟილინის, პოლკოვნიკ ბელოგლაზოვის, პოდპოლკოვნიკ ოვჩაროვის, პოლკოვნიკ ობდალენკოვის, პოლკოვნიკ სახაროვის, პოლკოვნიკ ოსტაპენკოს, პოდპოლკოვნიკ საროჩინსკის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სუდეცის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ტოლსტიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტიმჩენკოს, პოლკოვნიკ სმირნოვის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ ტერეხოვის, პოდპოლკოვნიკ შატილინის მფრინავებმა; პოლკოვნიკ ვოდოვატოვის, პოლკოვნიკ ფადეევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოროლიოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების პაპისა და დევეჩერის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების პაპისა და დევეჩერის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 მარტი. № 311.

სერჟანტი შ. პ. ტიბუა—საბჭოთა კავშირის გმირი

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის სერჟანტ შოთა პლატონის-ძე ტიბუას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 მარტს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი — უმაღლესი სამხედრო აკადემიის უფროსი, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი და წითელი არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი.

ამხანაგ შაპოშნიკოვის სახით სახელმწიფომ დაჰკარგა წითელი არმიის ერთ-ერთი უხუცესი და გამოჩენილი მხედართუფროსი.

საბჭოთა კავშირის მარშალ ბ. მ. შაპოშნიკოვის დაკრძალვა მოხდება ქალაქ მოსკოვში.

დაკრძალვა მიღებულია სახელმწიფოს ხარჯზე.

საბჭოთა კავშირის მარშალ ბ. მ. შაპოშნიკოვის ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება ქალაქ მოსკოვში მისი ძეგლის აგებით.

ბ. მ. შაპოშნიკოვი

ა. წ. 26 მარტს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი, წითელი არმიის ერთ-ერთი უხუცესი და გამოჩენილი მხედართუფროსი, უმაღლესი სამხედრო აკადემიის უფროსი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. შაპოშნიკოვი ძველი რუსეთის არმიის სამხედრო ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი პირველი შევიდა წითელ არმიაში მისი შექმნიდანვე და დიდი სამხედრო ხელმძღვანელის მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის, მშენებლობისა და განმტკიცების საქმეს.

წითელი არმიის რიგებში ამხ. შაპოშნიკოვს ეკავა პასუხსაგები პოსტები: მთელი რიგი სამხედრო ოლქების ჯარების სარდლისა, სამხედრო აკადემიის უფროსისა, წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსისა, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილისა, ხოლო უკანასკნელ ხანს მუშაობდა უმაღლესი სამხედრო აკადემიის უფროსის პოსტზე.

მთელი თავისი ხანგრძლივი სამსახურის მანძილზე ამხ. შაპოშნიკოვი დაუღალავად მუშაობდა წითელი არმიის საბრძოლო სრულყოფისათვის, მისი მეთაურთა კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის, წითელ არმიას ამზადებდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებში ამხ. შაპოშნიკოვის შემოქმედებითი და ხანგრძლივი შრომის მცირე წვლილი როდი იყო შეტანილი.

ამხ. შაპოშნიკოვის ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა მთავრობის მიერ აღნიშნულია ორდენებით არაერთგზის მისი დაჯილდოებით. ამხ. შაპოშნიკოვი სამგზის არის დაჯილდოებული ლენინის ორდენით, ორგზის წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, ორგზის წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ჩვენი პარტიის ერთგული შვილი ამხ. შაპოშნიკოვი დაუცხრომელი ენერგიით აღსავსე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული იყო ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა და ჩვენი სამშობლოს პატრიოტის ნიმუშს წარმოადგენდა.

ამხ. შაპოშნიკოვის ხსოვნა მარად იცოცხლებს საბჭოთა ხალხის გულში.

სტალინი, ჟუკოვი, ვასილევსკი, ვოროშილოვი, ტიმოშენკო, ბუდიონი, ბულგანინი, შჩერბაკოვი, ანტონოვი, მერეცკოვი, გოვოროვი, ბაგრამიანი, როკოსოვსკი, კონევი, პეტროვი, ერემენკო, მალინოვსკი, ტოლბუხინი, მასლენიკოვი, ტიულენევი, პურკაევი, მ. პ. კოვალიოვი, არტემიევი, ვორონოვი, ხრულევი, იაკოვლევი, ფედორენკო, ნოვიკოვი, ვორობიოვი, პერესიპკინი, შტემენკო, გოლიკოვი, სმოროდინოვი, მორდვინოვი, კალინინი, ჩიბისოვი, ფილიჩკინი, დავიდოვი, პუხოვი, ოლიშევცკი, პეტუხოვი, მურავიოვი, კოვალიოვი, სოკოლოვ-სოკოლენოკი.

ც ნ ო ბ ა

საბჭოთა კავშირის მარშალ ბ. მ. შაპოშნიკოვის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია ამხანაგების ფ. ი. გოლიკოვის, ა. ფ. გორკინის, გ. მ. პოპოვისა და ვ. კ. მორდვინოვის შემადგენლობით.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XIII პლენუმი

26 მარტს, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობა დაიწყო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XIII პლენუმმა. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა პლენუმის გახსნისას სთქვა:

— პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XII პლენუმის შემდეგ განვლილი წელი მდიდარია ისტორიული მოვლენებით. გმირმა წითელმა არმიამ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ფაშისტური სიბილწე განდევნა ჩვენი წმიდა მიწა-წყლიდან, შეიჭრა გერმანიაში, შეტევითს ბრძოლებსეწევა გერმანიის მიწა-წყალზე და სულ უფრო და უფრო ახლოს მიიწევს ფაშისტური ბუნაგის ცენტრის — ბერლინისაკენ.

ეს გამარჯვებანი წარმოადგენენ მთელი საბჭოთა ხალხის უდიდეს ღონისძიებათა შედეგს. ჩვენი გმირი მუშათა კლასი თავისი ძალების დაუზოგავად უზრუნველჰყოფს და შემდგომშიც კვლავ უზრუნველჰყოფს ფრონტს ყოველივე იმით, რაც საჭიროა ომის ძლევამოსილად დამთავრებისათვის.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—გავაძლიეროთ მუშაობა მუშათა კლასისა და ინტელიგენციის პირველი რიგის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. პროფკავშირებმა ისე უნდა ააგონ თავიანთი მუშაობა, რომ მუშებისა და ინტელიგენციის საჭიროებებს ისინი მუდამ აქცევდნენ მთავარ ყურადღებას.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მუშებისა და მოსამსახურეების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

2) მუშათა და მოსამსახურეთა შორის პროფკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

3) ლონდონში გამართული მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის შედეგების შესახებ.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ვ. ი. სიდორენკომ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. (ტასი).

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კაპიტანი **გიორგი დავითის-ძე ლელაძე** დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით, გვარდიის წითელარმიელი **ნოე იოსების-ძე დუმბაძე—დიდების 1-ლი ხარისხის** ორდენით.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელი სამხედრო მიმომხილველი რაინის გადალახვის შესახებ

ლონდონი, 26 მარტი. (სატასი). როგორც რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი კიმპე გუშინ გადაცემულ მიმოხილვაში აღნიშნავს, რაინის აღმოსავლეთი ნაპირის თითქმის მეოთხედი მოკავშირეთა ხელშია. ეს მიღწეულია 36 საათის განმავლობაში მთავარი შეტევის დაწყების შემდეგ. ეიზენჰაუერის შტაბი ოფიციალურად ადასტურებს სამი ხიდწინა სიმაგრის შექმნის ფაქტს. პლაცდარმთა საერთო სიგრძე ამჟამად 160 კილომეტრს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას დიდძალი ხიდის შენება ისე, რომ აღმოსავლეთ ნაპირზე გადაყვანილ იქნან საჭირო ჯარები და გადატანილ იქნას ტექნიკა. ღირსშესანიშნავია, რომ თითქმის 48 საათის შემდეგ შეტევის დაწყებიდან, არავითარი ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ გერმანელებს რამდენადმე დიდი კონტრიერიში დაეწყოთ მოკავშირეთა გადასული ძალების წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელებმა რომ იერიში დაიწყონ მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრის წინააღმდეგ რურის ჩრდილოეთით, შეუძლებელია იმის წინასწარ თქმა, თუ რა მოხდება გერმანელთა „ზურგს უკან" — რემაგენისა და ფრანკფურტის რაიონებში. გერმანელთა ცნობებით, გენერალმა პატონმა რაინს გაღმა გაიყვანა 2 სატანკო დივიზია. დღემდე გენერალ პატონის ჯარები სერიოზულ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას არ შეხვედრიან. რამდენადაც ისინი ღრმად წაიწევენ, იმდენადვე ნაკლებ დასაჯერებელია, რომ გერმანელები მოახერხებენ ადგილობრივ არსებული ძალების ორგანიზებას. ერთადერთი, რაც მათ დარჩენიათ, ის არის, რომ დივიზიები მოიშველიონ სხვა ფრონტებიდან, მაგრამ სწორედ ამას ისინი ამჟამად ვერ გაბედავენ.

ამერიკის ჯარებმა მიაღწიეს მაინის ფრანკფურტის გარეუბნებს

ლონდონი, 26 მარტი. (სატასი). როგორც ლონდონის რადიოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის მე-3 არმიის ნაწილებმა მიაღწიეს მაინის ფრანკფურტის გარეუბნებს.

გარდაიცვალა ლოიდ-ჯორჯი

ლონდონი, 26 მარტი. (სატასი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ გარდაიცვალა ინგლისის პარლამენტის უხუცესი წევრი დავიდ ლოიდ-ჯორჯი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 მარტის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 25 მარტს დაიკავეს ქალაქი ჰაილიგენბაილი—გერმანელთა თავდაცვის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე, კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები პარტაინენი, რემზეგუტი, კაიმკალენი, ვრებდენი, შტაინდორფი, კარბენი, პროისიშ ბანაუ, შეტნიენენი, ბერლაკსდორფი, რაადე, ლაიზუნენი, ბიუსტერვალდე, რაუნენბერგი. 24 და 25 მარტის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ამ რაიონში ტყვედ წამოიყვანეს 9.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 109 თვითმფრინავი, 65 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 245 ქვემეხი, 176 ტყვიამფრქვევი, 8.330 ავტომანქანა, 69 ჯავშანტრანსპორტიორი.

გდანსკის (დანციგის) მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მტრის წინააღმდეგობას სძლევენ, დაიკავეს გდანსკის (დანციგის) გარეუბანი ოლივა და დასახლებული პუნქტები ბორგფელდი, კოვალი, კარჩემკე, კლაინ კატცი, ვიტომინი. 24 მარტს ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა ვერტეშხედშეგის მთებში ბუდაპეშტის დასავლეთით, გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ჯგუფი ესტერგომის რაიონში და წინ წაიწიეს 45 კილომეტრით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ესტერგომი, ნესმეი, ფელშე-გალა და ტატა, აგრეთვე 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ტოკოდი, ტატი, ბაიოტი, ტავაროში, ტატაბანია, ბანხიდა, კერნიე, დუნაალმაში, ნასაალი, მოჩა, კოჩი, სენდი, ჩასარი.

ამ ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგის 7.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს და ხელთ იგდეს 250 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 300-ზე მეტი ქვემეხი და ბევრი სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

ბალატონის ტბის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ვაროშლედი, აგრეთვე 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის პაპატესერი, ვაკონკოპანი, ტაპოლცაფე, ბაკონიაკო, მადიარპოლანი, სენტგალი, ტოტვაჟონი, ბალატონ-ფიურედი, ფიურდეტელეკი.

24 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 147 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 63 თვითმფრინავი.

26 მარტის ოპერატიული ცნობა

26 მარტის განმავლობაში ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები ამთავრებდნენ მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციას ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით, დაიკავეს დასახლებული პუნქტები გროს ჰოპენბრუხი, რაინშენჰოფი, დოიჩ ბანაუ და ნავსადგური როზენბერგი და მოწინააღმდეგის განადგურებული ნაწილების ნაშთები უკუაგდეს კალჰალცერ-ჰაკენის კონცხის რაიონში. წინასწარი ცნობებით, 26 მარტის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ამ რაიონში ტყვედ წამოიყვანეს 21.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

გდანსკის (დანციგის) მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები პრაუსტერ-პფარდორფი, გროს ლანდი, ალბრეხტი, პფარდორფი, მატცკაუ, შენფელდი, ცანკენცინი, შიუდელკაუ, ვონებერგი, ჰელე (2 კილომეტრზე გდანსკის (დანციგის) დასავლეთით), ნენკაუ, მიგაუ, პელონკენი, კენიგსჰოფი, ვაისჰოფი, როტჰოფი. 25 მარტის ბრძოლებში ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია 1.300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში უტევენ კარპატის მთების ზოლში, ჩეხოსლოვაკიაში დაიკავეს ქალაქი ბანსკა ბისტრიცა — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის გორნია ლეგოტა, იასენე, რაზლოკა, პოდკონიცე, პრიხოდი, სელცე, სასოვო, სკუბინი, მალახოვი, რაკიტოვცე, ტუროვა, ბუდჩა და რკინიგზის სადგურები ვლკანოვა, რადვანი, სლოვაცკა ლუპჩა, ლუჩატინი, ზამოსტე, პოდბრეზოვა. 25 მარტს ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 26 მარტს დაიკავეს ქალაქები პაპა და დევეჩერი—გზების დიდი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც იფარავენ ავსტრიის საზღვრებისაკენ მიმავალ გზებს, აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბაკონპოტერდი, ლოვასპატონა, ვანიოლა, კუპი, ნოსლოპი, დოპა, შომლოვეჩე, შომლოვაშარხელი, პადრაგი, ნადვაჟონი, ვასოლი, ბალატონუდვარი, ორვენიეში, ოსიფო, ტიგანი და რკინიგზის სადგურები ლაზი, რომანდი, ბაკონ-ტამაში, პაპატესერი, ნალდიმოტი, აიკა.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

25 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 180 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 87 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა გდანსკს (დანციგს)

25 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა მასირებულად დაარტყეს მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს გდანსკში (დანციგში) ... აფეთქებანი. იწვოდა ნავთსაცავები. რკინიგზის შემადგენლობანი და ნავსადგურში მოწინააღმდეგის ტრანსპორტები.

[illegible]

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საკოლმეურნეო მინდვრებზე

მახარაძე („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. 750-ზე მეტი აგიტატორი ყოველდღე ატარებს ჟურნალ-გაზეთების კითხვას და საუბრებს. ხელმძღვანელი მუშაკები კითხულობენ მოხსენებებსა და ლექციებს პოლიტიკურ და თეორიულ საკითხებზე. მიმზადებულად გამოდიან ლექტორები ი. შეწირული, ი. ჯანელიძე, ა. ღლონტი, ა. ზაქარიაძე და სხვ. უკანასკნელ ოთხ თვეში ჩატარებულია 85 ლექცია, რომლებსაც 6.000-მდე კაცი დაესწრო.

მოხსენებები და ლექციები პოლიტიკურ თემებზე დიდ დახმარებას უწევენ აგიტატორებს იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში. პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად იხილავენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. პარტკაბინეტი ხშირად აწყობს ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის დაყენებული სოფელ ძიმითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელმაც შარშან უხვი მოსავალი მოიყვანა. კოლმეურნეობამ მარტო ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმის შესრულებით 3.208.929 მანეთის ფულადი შემოსავალი მიიღო. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმა. წინა წლებთან შედარებით ერთიორად გაიდიდა შრომადღის ღირებულება. ამ წარმატებათა მოპოვებაში მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ სერიოზული როლი ითამაშა. კარგად მუშაობს აგიტკოლექტივი, რომელსაც სამამულო ომის მონაწილე ამხ. ი. სამსონია ხელმძღვანელობს. სისტემატურად იმართება აგიტკოლექტივის მეცადინეობა, წინასწარ საფუძვლიანად ამუშავებენ საუბრის თემას, ახდენენ მოწინავე აგიტატორების გამოცდილების განზოგადებას და დანერგვას. აგიტატორთა ენერგიულ მუშაობას მიეწერება, რომ კარგად მუშაობს კლუბი, სისტემატურად გამოდის კედლისა და საველე გაზეთები. მრავალი აგიტატორი კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მოწინავე აგიტატორები არიან სამამულო ომის მონაწილე კ. თოხაძე, თ. პატიაშვილი, ქ. ჯახუტაშვილი და ყ. ანდღულაძე. აგიტატორებმა ყოველ კოლმეურნეს საფუძვლიანად გააცნეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1945 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. ამჟამად კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგის პლანტაციების დამუშავება. კოლმეურნეობამ დაამთავრა საგაზაფხულო ხვნა, დროზე მოიმარაგა კონდიციური თესლი და ახლა მზად არის თესვისათვის.

აგიტატორები კოლმეურნეებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის. სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი მასწავლებელი ამხ. ნ. დოლიძე საუბრებს მჭიდროდ უკავშირებს ბრიგადის სამეურნეო ამოცანებს, ამახვილებს კოლმეურნეთა ყურადღებას ნაკლოვანებებზე და რაზმავს მათ უკეთ მუშაობისათვის. აგიტატორის სიტყვებს ზემოქმედების ძალასა და დამაჯერებლობას ჰმატებს ის, რომ თავისუფალ დროს იგი ფიზიკურად მუშაობს კოლმეურნეობაში და პირადად უჩვენებს შრომადში შეგნებული დამოკიდებულების ნიმუშს. შარშან ჩაის კრეფაზე მან 90 შრომადღე გამოიმუშავა.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით შესრულდეს 1945 წლის სასოფლო-სამეურნეო გეგმები. აგიტატორები კოლმეურნეებს აცნობენ ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას და რაზმავენ მათ შეჯიბრებაში თვედადებული მუშაობისათვის. სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, ზუგდიდელთა მოწოდების პასუხად იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 10.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ამასთან თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის დასთესონ 5 ჰექტარი სიმინდი და ჰექტარზე 17 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 20 ცენტნერამდე სიმინდი მოიყვანონ. სოფელ ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა წელს საგაზაფხულოდ გეგმის გადამეტებით აითვისოს 10 ჰექტარი ყამირი. ჩაის და ციტრუსების სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება იკისრეს აგრეთვე გურიანთის და განახლების კოლმეურნეობებმა.

ლ. ლოლაძე

აგიტატორთა თათბირი

ასპინძა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა აგიტატორთა რაიონული თათბირი, რომელსაც დაესწრო 145 აგიტატორი და 15 აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

თათბირზე საქართველოს კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ძებისაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე—„საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა და კოლმეურნეობების მორიგი ამოცანები“.

მომხსენებელმა გააშუქა გმირი წითელი არმიის მიღწევები და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. შემდეგ მან ილაპარაკა აგიტატორთა როლზე საგაზაფხულო სამუშაოების უკეთ ჩატარებისათვის ბრძოლაში და დაწვრილებით შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის მარტის დადგენილებიდან.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 ამხანაგმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს საფუძვლიანი ინსტრუქტაჟი საგაზაფხულო თესვის დღეებში მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

ვ. თამაზაშვილი

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

საქართველოს მეტალურგების შეხვედრა დონბასელებთან

კვირას, 25 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში შესდგა საქართველოს მეტალურგთა საზეიმო შეხვედრა დონბასელ მეტალურგთა დელეგა- ... თა სტალინური მეგობრობის ცხოველმყოფელობით გაბრწყინებულ ქვეყანაში.

შეხვედრაზე მოხსენებებით გამოვიდნენ დონბასელ მეტალურგთა დელეგაციის წევრები ...

[illegible]

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარები, რომლებმაც გადალახეს რაინი ნოიმეგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და რურის ოლქის ჩრდილოეთით, წარმატებით მიიწევენ წინ. მტერი, რომელიც უმნიშვნელო წინააღმდეგობას უწევდა შეტევის დასაწყისში, გააფთრებულ წინააღმდეგობას იწყებს. მაგრამ მოკავშირეთა ჯარები მტკიცედ გამაგრდნენ თავიანთ პლაცდარმებზე. ქალაქებში რეესსა და დინსლაკენში ბრძოლები სწარმოებს. მოკავშირეთა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს რაზები ლიპეს არხზე, აგრეთვე დაიკავეს ქალაქები ვეზელი, შპელენი, ლოონენი, ვიორდე, ნიოლენი, ოვერბრუხი და ვალზუმი. რამდენიმე პუნქტში მოკავშირეთა ნაწილებმა 8 კილომეტრით წაიწიეს წინ რაინის აღმოსავლეთით.

ავიადესანტო ნაწილებმა, რომლებიც რაინს გაღმა გადასხდნენ ქვეითი ჯარის შეტევის დაწყებამდე, დაიკავეს დასახული ობიექტები და შეუერთდნენ შემტევ სახმელეთო ნაწილებს სულ ცოტა ორ ადგილას. ეს ნაწილები მიყვანილ იქნენ 3.100-ზე მეტი საბუქსირო თვითმფრინავითა და პლანერით. სადესანტო ნაწილებმა ხელთ იგდეს ექვსი დაუზიანებელი ხიდი მდინარე ისელზე და წამოიყვანეს ბევრი ტყვე.

რემაგენთან მდებარე მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის ძლიერი წინააღმდეგობა და მოიგერიეს მისი რამდენიმე კონტრიერიში გენეფის მიდამოებში. ამჟამად მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრე რემაგენთან 53 კილომეტრს აღწევს ფრონტით და 16 კილომეტრს სიღრმით.

მოკავშირეთა ჯარები აფართოებენ და ამაგრებენ თავიანთ ხიდწინა სიმაგრეს რაინის აღმოსავლეთ ნაპირზე მაინცსა და ვორმსს შუა. მტერი უმნიშვნელო წინააღმდეგობას უწევს. მოკავშირეთა ჯარების ნაწილებმა ხიდი ააგეს რაინზე.

საარის ოლქში, რაინის დასავლეთით, მოსპობილია მტრის წინააღმდეგობის თითქმის ყველა მცირე კერა, რაც კი აქამდე იყო დარჩენილი. მოწინააღმდეგე განაგრძობს ზიგფრიდის ხაზის მხოლოდ რამდენიმე გამაგრებული პუნქტის დაცვას.

მოკავშირეთა ჯარები მიადგნენ რაინს ლაუტერბურგთან ... მერსჰაიმთან ... ჩრდილოეთით და გერმანელთა მთელი რიგი ქალაქები დაიკავეს რაინის ... ნაპირზე.

23 მარტს დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს 20.963 ტყვე. 24 მარტს მოკავშირეთა ავიაციამ მოახდინა 10.000-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა და დაბომბა მტრის თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა, აგრეთვე მოწინააღმდეგის გამაგრებული პუნქტები ვეზელთან წარმოებული ბრძოლების რაიონში. დაბომბილია მტრის კომუნიკაციები, აეროდრომები და სხვა ობიექტები.

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). 21-ე საარმიო ჯგუფის შტაბთან მყოფი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ 25 მარტს ფელდმარშალ მონტგომერის ჯარები მტკიცედ გამაგრდნენ რაინის აღმოსავლეთ ნაპირზე 40-დან 48 კილომეტრამდე სიგრძის ფრონტზე. ზოგიერთ პუნქტში ხიდწინა სიმაგრის სიღრმე 10 კილომეტრს აღწევს. ეს ნაწილები შეუერთდნენ სადესანტო არმიებს და წინსვლას განაგრძობენ. მოკავშირეთა ჯარების მიერ დაკავებული ყველა პლაცდარმი ამჟამად ერთ ხიდწინა სიმაგრეს წარმოადგენს.

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ ხიდწინა სიმაგრეების წარმატებით გაფართოებას რაინის აღმოსავლეთ ნაპირზე რურის ჩრდილოეთით. ცნობაში ჩამოთვლილია მოკავშირეთა მიერ დაკავებული ექვსი პუნქტი, მათ შორის დინსლაკენი, და აღნიშნულია, რომ ხიდწინა სიმაგრეს ზოგ ადგილას აქვს 40 კილომეტრი ფრონტით და 11 კილომეტრზე მეტი სიღრმით.

რემაგენის ხიდწინა სიმაგრის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს 10-ზე მეტი ქალაქი და სოფელი.

კობლენცსა და ბოპარდს შუა მდებარე რაიონში მოკავშირეებმა რაინი გადალახეს კიდევ რამდენიმე ადგილას. ქვეითი ჯარი რაინში გადიოდა სადესანტო გემებით. მტერმა ძლიერი წინააღმდეგობა გაგვიწია და გადამლობავი ცეცხლი გაახსნა.

შტაბის ცნობაში დადასტურებულია, რომ მოკავშირეთა ნაწილებმა 42 კილომეტრით წაიწიეს წინ მაინცსა და ვორმსს შუა მდებარე რაიონში და ხელთ იგდეს დაუზიანებელი ხიდი მდინარე მაინზე.

მოკავშირეთა ავიაციის მონაწილეობა რაინის გადალახვაში

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, მოკავშირეთა ავიაციამ მოკავშირეთა ხუთი დღის მოსამზადებელი საჰაერო შეტევის განმავლობაში 19-დან 24 მარტამდე მოახდინა 55 ათასი თვითმფრინავგაფრენა და ჩამოყარა 50 ათასი ტონა ბომბი, ამასთან მოსპო გერმანელთა 450 თვითმფრინავი და დააზიანა 400. მოკავშირეთა ავიაციის მოქმედების შედეგად მოსპობილია ან დაზიანებულია მტრის 5.766 მანქანა, 14.450 რკინიგზის ვაგონი, 1.005 ორთქლმავალი და 1.032 ადგილას დაზიანებულია მოწინააღმდეგის რკინიგზის ხაზები.

თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, 24 მარტს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენები კვლავ დაესხნენ თავს ბერლინს.

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენებმა დაბომბეს ბერლინი. ეს იყო ზედიზედ 34-ე ღამის თავდასხმა გერმანიის დედაქალაქზე.

ფაშისტების გამოხდომა რომში

რომი, 25 მარტი. (საკდესი). 23 მარტს 30-მდე ფაშისტი შეიკრიბა პორტა პიას მოედანზე რომში და დემონსტრაცია მოაწყო მუსოლინის პატივსაცემად. ახლომახლო მიმავალი მანქანებიდან ყრიდნენ ფაშისტურ ნიშნებიან ფურცლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაშისტური გამოხდომის მონაწილეთა წინააღმდეგ არავითარი ზომა არ მიუღიათ.

არციშევსკი ცდილობს ახალი სესხები მიიღოს

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). „რეინოლდს ნიუსის“ მიმომხილველი იუწყება, რომ პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ლონდონში, ბრიუსელსა და პარიზში მისთვის სესხის მიცემის შესახებ.

ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ნაგოიას

სან-ფრანცისკო, 25 მარტი. (საკდესი). ამერიკის 21-ე ავიაშენაერთის შტაბის ცნობაში ... საიმპერატორო ბანაკი იუწყება, რომ 24 მარტს ღამით ამერიკელთა „ბ-29“ მარკის ...

[illegible]

[illegible] ტირაჟი 91.800